შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვების“
2023-2024 წლის
ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	ანგარიში		
				შესრულების ინდიკატორები	რესურსები
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა	საგნობრივი კურიკულუმების (მატრიცების/შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებების) წლიური პროგრამების შემუშავება/დანერგვა	2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება და მის განვითარებაზე მუშაობა მიმდინარეობდა მთელი 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობითა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. კერძოდ, კათედრის წევრმა მასწავლებლებმა ერთად გაანალიზეს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები და სამუშაო პროცესში გაითვალისწინეს დირექციის რეკომენდაციები. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის თავმჯდომარები სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის შესარჩევად, ინოვაციების დასანერგად, დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად, მოსწავლეების მიღწევების, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევების გამოსავლენად აორგანიზებდნენ კათედრის შეხვედრებს. კათედრები კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებით ამუშავებდნენ მიღებულ ინფორმაციას და შემდგომი რეაგირების მიზნით შეჯერებულ მასალას აწვდიდნენ დირექციას. სკოლის დირექცია სასწავლო წლის განმავლობაში ფასილიტაციას	კურიკულუმი; საგნობრივი კათედრის ოქმები; პედაგოგიური საბჭოს ოქმი;	არსებული რესურსი

			უწევდა დანერგვისა და კვლევის ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების რეჟიმის შეთანხმებას, ამთლიანებდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებს, უზრუნველყოფდა კათედრის წევრ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრებს, რომელზეც განიხილებოდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები, ახდენდა მიღებული შედეგების დოკუმენტირებასა და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაციას (პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობლებთან შეხვედრისას). დირექციის ინიციატივით განხორციელდა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობები - ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა-შემუშავების, მოსწავლეების მიღწევების ამსახველი მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტებისა და სადიაგნოსტიკო შეფასების ინტენსივობის შესახებ. შემუშავდა დიაგნოსტიკური წერების განრიგი საგნების, კლასებისა და სემესტრების მიხედვით.		
		საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/სწავლება	ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა შემუშავებულია ამჟამად სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლა მზადაა, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს იგი. სკოლას დაგეგმილი აქვს პედაგოგთა ტრენინგები .სკოლა ასევე მზადაა, ითანამშრომლოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები. სკოლა სისტემატურად მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის მონიტორინგს და შედეგებიდან გამომდინარე განსაკუთრებული მიდგომისა და	პედაგოგიური საბჭოს ოქმი; ინდივიდუალური გეგმები	არსებული რესურსი

			საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაგეგმავს მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით შედგენილი გეგმით ინდივიდუალური თუ დამატებით მეცადინეობის განრიგს, რომელიც გამოიკვრება თვალსაჩინოდ.		
		სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვა	2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სადამრიგებლო პროგრამას. პროგრამის შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისში ყველა კლასს განესაზღვრა დამრიგებელი. სასკოლო სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით დამრიგებლებმა შეიმუშავეს თავიანთი კლასის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. სადამრიგებლო გეგმებში გაწერილი იყო აქტივობები სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, პიროვნული და მორალური განვითარება, გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, მოქალაქეობრივ - პატრიოტული ცნობიერება, თვალსაწიერის გაფართოება. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აქტივობებიდან აღსანიშნავია აქტუალური და მნიშვნელოვანი თემები: **,,სოციუმი ჩემ გარშემო“**(ურთიერთობა თანატოლებსა და უფროსებთან); ,,**როცა შენი არ ესმით“ იუმორი თუ დაცინვა ; ,,სისასტიკე და აგრესია უძლურებაა“(კონფლიქტების მართვა);** **,,თუ დასუფთავება არ შეგიძლია, არ დაანაგვიანო მაინც“**(სკოლის შემოგარენის დასუფთავება);**გარემო კომფორტულია, როცა თავად ქმნი-(** ნერგების დარგვა სკოლის ტერიტორიაზე); **,,მშობელი მკითხველის** როლში“-(შვილთან ეფექტური კომუნიკაცია); **,, რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“(**არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა). ამასთან, სადამრიგებლო კლასებში დამრიგებლებმა განახორციელეს	სადამრიგებლო პროგრამები დამრიგებლის პორტფოლიო	არსებული რესურსი

			საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინი სტრის ბრძანება №06/ნ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ით განსაზღვრული აქტივობები. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აქტივობებიდან, ასევე, აღსანიშნავია - მიზნობრივი ექსკურსიები, ვიზიტები თეატრებში, მოსწავლეთა მონაწილეობით გამართული სპექტაკლები/წარმოდგენები, გარემოს დაცვითი ღონისძიება - დედამიწის დღის აღნიშვნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, 132-ე საჯარო სკოლის ფრენბურთის, ჩოგბურთისა და ფეხბურთის გუნდებთან შეხვედრა. გარდა ზემოთ აღნიშნული აქტივობებისა, დამრიგებლები თვის განმავლობაში აჯამებდნენ მოსწავლეების გაცდენას, დაგვიანების მონაცემებს და წარუდგენდნენ დირექციას შევსებულ ცხრილს. გაცდენა-დაგვიანებასთან დაკავშირებით დამრიგებლისა და სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები ასახულია დამრიგებლების ანგარიშებში. კერძოდ, გასული სასწავლო წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა მოსწავლის მიერ ზედიზედ 10 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევა. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სადამრიგებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში დირექციის მხრიდან განხორციელდა დაკვირვება რამდენიმე სადამრიგებლო საათზე, კერძოდ, დირექტორის მოადგილე დააკვირდა კლასის საათის მიმდინარეობას დაწყებით და საბაზო საფეხურებზე - IV კლასში თემაზე -იუმორი თუ დაცინვა, VII კლაში - თემაზე ,,როცა შენი არ ესმით“, სადაც მოწვეული იყვნენ მე-7 კლასის მოსწავლეთა მშობლებიც. წაიკითხეს ნაწყვეტი შარლოტა ბრონტეს რომანიდან ,,ჯეინ ეარი“, განიხილეს ,,წითელი ოთახის“ პრობლემა და ნახეს ნაწყვეტი ფილმიდან ,,საფრთხობელა“. დაკვირვების		

			შემდეგ გაანალიზდა პროცესის მიმდინარეობა და კლასის დამრიგებლებს მიეცათ რეკომენდაციები კლასის საათის ორგანიზებასა და აქტივობების შერჩევა/წარმართვასთან დაკავშირებით.		
		მოსწავლეთათვის დამატებითი სასწავლო პროგრამის შეთავაზება მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების შემუშავება/ განხორციელება/შესრ ულების ხელშეწყობა	სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მასწავლებელმა საკუთარი საქმიანობის თვითშეფასების საფუძველზე შეადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრა სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, როგორც კურიკულუმის დანერგვის, ასევე ექსტრაკულიკურალური/არაფორმალური განათლების მიმართულებით. დამატებითი სასწავლო პროგრამების სახით წარმოდგენილია ცეკვა (I-IV კლასში), ჭადრაკი (III-IV კლასში) და სააღმზრდელო მუშაობა. სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები როგორც კათედრებზე, ასევე კათედრებს შორის თანამშრომლობის გზით. კერძოდ, წამყვანმა მასწავლებელმა საკუთარი გამოცდილება გაუზიარა კოლეგებს პედაგოგიური საქმიანობის ამსახველი მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტებისა და პორტფოლიოს წარმოების შესახებ (მასწავლებლის საქმიანობის პრაქტიკული კურსის შეფასებისთვის). აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა ხარისხის ჯგუფის მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე. დაწყებითი სწავლების კათედრაზე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თემებზე - რემედიაცია და განმავითარებელი შეფასება, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ სკოლის ექიმი და ბიოლოგიის მასწავლებელი.	მასწავლებელთა სამოქმედო გეგმები	არსებული რესურსი
	სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა	შიდა სასკოლო პროექტების დაგეგმვა/განხორციელ ება (პრეზენტაციები, კონკურსები, კონფერენციები, მიზნობრივი ექსკურსიები და სხვა)	სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას მოსწავლეთათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური, სოციალური თუ ფიზიკური პოტენციალი. სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში განხორციელდა	პროექტის პროგრამა; ფოტო-ვიდეო მასალა	არსებული რესურსი

			სასკოლო/სოციალური პროექტები. კერძოდ: ➢ სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ინიციატივით აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით გამოცხადდა კონკურსი თემაზე: „ამორძალი ხარ ,მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ“. მოსწავლეებმა შექმნეს ესეები, საპრეზენტაციო თემები და ნახატები, ➢ ჩატარდა გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო „არტისტული ყვავილები“; ➢ ჩატარდა სასწავლო -შემოქმედებითი კონფერენცია **„შიშის ძლევის გზა“** (რეფერატები : **„შუშანიკის წამება და თანამედროვეობა“;** **„შუშანიკის წამება და რწმენის თავისუფლება“;** **„გმირი და ანტიგმირი“;** **„შუშანიკის წამება და რწმენის თანამედროვეობა“;** **აბო და შიშის ძლევის გზა;** ➢ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების მიზნით , მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებმა მოინახულეს ძველი თბილისის ხუროთმოძღვრული ძეგლები. ➢ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ინიციატივით დაუნის სინდრომთან დაკავშირებით დაიგეგმა პროექტი „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“, წარმოადგინეს ნაშრომები, პრეზენტაციები, დარღვეული მეიოზის პროცესი აჩვენეს მცირე ინსცენირებს სახით, ნახეს ფილმი „საოცრება“... ➢ გაიმართა სასკოლო შეჯიბრი ჭადრაკში,მონაწილეებს		

			დაურიგდატ სიგელები, ხოლო ხოლო პირველ , მეორე და მესამე ადგილზე გასულები დააჯილდოვეს მედლებითა და დიპლომებით. ➢ უცხოური ენების კათედრის ინიციატივით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი: Scott vs Amundsen (იყო თუ არა ამუნდსენი დამნაშავე?) ➢ სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ინიციატივით გაიმართა დაწყებით საფეხურზე მხიარული სტარტები, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე სასკოლო ჩემპიონატები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფეხბურთში, ხოლო სკოლის გუნდები შეხვდნენ 132-ე საჯარო სკოლის გუნდებს. ყველა კლასში დაიგეგმა და განხორციელდა მიზნობრივი ექსკურსიები.		
		გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი სისტემის დანერგვა.	მიმდინარე სასწავლო წელს კათედრებმა იმუშავეს ისეთი შემაჯამებელი დავალებების შექმნაზე, რომლებიც მიემართებოდა ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს - ცნებებსა და სტანდარტის შედეგებს, ითვალისწინებდა ცოდნის სამივე კატეგორიასა და იძლეოდა მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. შეფასების პრინციპების (ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა, სამართლიანობა) სრულად დაცვისთვის, შემაჯამებელ დავალებებს თან ახლდა შეფასების სქემა, რომელიც წინასწარ მიეწოდებოდათ მოსწავლეებს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით, დირექცია დააკვირდა შემაჯამებელი დავალების შესრულებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში IX კლასში. ერთი კლასის შეფასებული ნაშრომებიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 3 ნაშრომი ხელმეორედ შეფასდა მეორე მასწავლებლის მიერ და ერთმანეთს შედარდა ორივე შემფასებლის მიერ დაწერილი ქულები.	შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ინსტრუმენტები; შემაჯამებელი დავალების ანალიზები;	არსებული რესურსი

			ამასთან, შეფასდა, როგორც შემაჯამებელი დავალების ტესტები, ასევე პროცესის მიმდინარეობა. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მასწავლებლებმა მიიღეს კონსტრუქციული უკუკავშირი. შემუშავდა სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც გაუზიარდება სხვა კათედრების წარმომადგენლებს და გათვალისწინებულ იქნება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას.		
		დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა	2023-2024 სასწავლო წლის I სემესტრის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შედეგებით საბაზო და საშუალო საფეხურზე რამდენიმე მოსწავლეს ერთ საგანში(კონკრეტულად, უცხო ენაში) დაბალი შეფასება ჰქონდა(5ქულა). ამასთან დაკავშირებით, კათედრის შეხვედრაზე განიხილეს შედეგები და მასწავლებლებმა დაგეგმეს დამატებითი გაკვეთილები კონკრეტულ მოსწავლეებთან. გატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოჩნდა, რომ I სემესტრთან შედარებით შემცირდა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობა.	რემედიაციის პროგრამა	არსებული რესურსი
	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება	სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით	განხორციელებული სამუშაოების ანალიზის, შეფასებისა და ანგარიშის ორგანიზებულად მომზადების მიზნით სკოლის დირექციამ შეიმუშავა ინსტრუმენტები - ანგარიშის ფორმები (გაკვეთილზე დაკვირვების (ურთიერთდასწრება),პროექტის ანგარიშის, სამუშაო შეხვედრის ანგარიშის ორგანიზატორი და მონაწილე მასწავლებლისთვის, მოსწავლეთა მიერ პროცესის შეფასებისა და მასწავლებლის თვითშეფასების) .სკოლის მასწავლებლებმა მიმდინარე სასწავლო წლის I სემესტრისა და წლის ბოლოს, თავიანთი საქმიანობის შესაბამისად, შეავსეს აღნიშნული ფორმები და სემესტრულ/წლიურ ანგარიშებთან ერთად მიაწოდეს კათედრებსა და დირექციას. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების მოკვლევა და იდენტიფიცირება, ასევე, მიმდინარეობდა სასწავლო წლის განმავლობაში მშობელთან/მშობელთა ჯგუფთან შეხვედრებისას, მშობელთა კრებებზე გამოთქმული	კითხვარები, ანგარიშები, კითხვარების ანალიზი	არსებული რესურსი

			მოსაზრებების, მიღებული უკუკავშირის დამუშავების შედეგად. მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად სასწავლო წლის განმავლობაში გამოკვეთილი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებებიდან ნაწილზე რეაგირება მოხდა სასწავლო წლის განმავლობაში, ნაწილი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.		
		დიაგნოსტიკური წერების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით.	სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით შეირჩა დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები და შემუშავდა სასწავლო წლის განმავლობაში მათი ჩატარების განრიგი, დიაგნოსტიკური შეფასებები მეტწილად განრიგის შესაბამისად ჩატარდა, თუმცა I სემესტრში, ნაწილობრივ დისტანციური სასწავლო პროცესიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ცვლილებების განხორციელება როგორც ჩატარების ვადებში, ასევე შეფასების ინსტრუმენტებში. ჩატარებული დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები გაანალიზდა მასწავლებლების მიერ, განხილულ იქნა კათედრების შეხვედრებზე. დიაგნოსტიკური წერების ანალიზმა აჩვენა, რომ II-III კლასის მოსწავლეთა ნაწილს ქართულ ენასა და ლიტერატურაში უჭირს ტექსტის სრულად გააზრება, ნაწილს კი სასვენი ნიშნების სათანადოდ გამოყენება. მოსწავლეთა ნაწილს მათემატიკაში უჭირს გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და მათი მახასიათებლების დასახელება. მასწავლებლებმა მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს აქტივობები ხარვეზების ამოსაფხვრელად. მეორე სემესტრში მასწავლებლებმა თვითონ შეადგინეს სადიაგნოსტიკო ტესტები. ტესტირების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მასწავლებლების მიერ დაგეგმილმა აქტივობებმა შედეგი გამოიღო. მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილს გაუჭირდა მიმართებების დანახვა რიცხვებსა და	მოსწავლეთა ნამუშევრები, ინსტრუმენტები დიაგნოსტიკური წერისთვის, ჩატარებული დიაგნოსტიკური წერის ანალიზი;	არსებული რესურსი

			რაოდენობებს შორის.		
		სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება	სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები კათედრებს წარუდგენენ სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელშიც მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს. მონაცემები მიეწოდება დირექციას, რომელიც თავს უყრის და ამუშავებს მოსწავლეთა შეფასების სტატისტიკურ მონაცემებს საგნებისა და კლასების მიხედვით და მონაცემთა ანალიზსა და აკადემიურ მიღწევათა დინამიკას შემაჯამებელ შეხვედრებზე წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს, რაც დასტურდება შესაბამისი სხდომების ოქმებით.	განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში	არსებული რესურსი
		სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესრულების მონიტორინგი	ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლე არ გვყავს.		არსებული რესურსი
		საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება	სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობდა ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტების შექმნასა და გამოყენებაში. ასევე აკვირდებოდა მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) და შიდა შეფასების საფუძველზე მასწავლებლებს აძლევდა რეკომენდაციებს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებისა და საგნობრივი კურიკულუმების რევიზირებისა და განვითარებისათვის.	გაკვეთილზე დასწრების შედეგები და მისი ანალიზი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები; ურთიერთდასწრე	არსებული რესურსი

				ბის შედეგები	
	აკადემიური მოსწრების გაუმჯობესები სთვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა	მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება	2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებს სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებში, ინტელექტუალურ თამაშებში, სასკოლო სპორტულ ჩემპიონატებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობის შესაბამისად გადაეცათ მონაწილისა და გამარჯვებულის სიგელები და დიპლომები. ხოლო სასწავლო საგნებში წლიური შეფასებების მიხედვით გამოვლინდებიან წარჩინებული მოსწავლეები, რომლებიც ახალი სასწავლო წლის დაწყებისას დაჯილდოვდებიან სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის. პროექტში ჩართვის გზით მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ლიდერული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეები წაახალისა და მისცა შესაძლებლობა ჩართულიყვნენ პროექტში ,,საზაფხულო სკოლა ლიდერი“.	წახალისების შესახებ გადაწყვეტილებები	არსებული რესურსი
		მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა.	➢ 2023-2024 სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები .კლასის თვითმმართველებმა, სკოლის თვითმმართველობის დებულების შესაბამისად, აირჩიეს საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარეები და აქტიურად ჩაერთნენ სასკოლო ცხოვრებაში. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით მოსწავლეთა თვითმმართველობამ, ტრადიციისამებრ, დაგეგმა პროექტი **„მოსწავლე მასწავლებლის როლში“**. ერთი დღე მოსწავლეებმა შეითავსეს დირექციის,	განხორციელებული აქტივობები	არსებული რესურსი

			მასწავლებლისა და სკოლის სხვა პერსონალის როლი. დღის ბოლოს შეაჯამეს. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის საახალწლო კარნავალი, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საღამო და ინიციატორები გახდნენ სკოლის ყოფილი დირექტორის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარების.		
		ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა და წარმატებული მოსწავლეების წახალისება	2023-2024 სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტური ონლაინ რეჟიმში ჩატარდა, ამისთვის სკოლამ მოამზადა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერები) და მოსწავლეებს შესთავაზა სკოლის რესურსით აღჭურვილი სივრცე, თუმცა ოლიმპიადის I ტურში მოსწავლეთა უმრავლესობამ მათთვის მოსახერხებელ დროს სახლიდან მიიღო მონაწილეობა. I ტურის დასრულების შემდეგ სკოლამ მიიღო წვდომა მონაცემებზე, რომლის მიხედვითაც ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტურში სხვადასხვა საგანში მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის საშუალო საფეხურის 6-მა მოსწავლემ. კერძოდ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2-მა, მათემატიკაში-2-მა, ისტორიაში-3-მმა, ბიოლოგიაში-1-მა, ქიმიაში-1-მა, ინგლისურ ენაში-3-მა, რუსულ ენაში კი-1-მა მოსწავლემ. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის მე-2 ტურში გადავიდა 3 მოსწავლე, კერძოდ: • ქართულ ენასა და ლიტერატურაში - 2 • ინგლისურ ენაში - 3 • რუსულ ენაში - 1 აღსანიშნავია, რომ ორი მოსწავლე - ლიზი ჯალაღონია და მონიკა ქავთარაძე - ორ საგანში გადავიდა მეორე ტურში. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ოლიმპიადის II ტურში გადასულ მოსწავლეთა რაოდენობა წინა სასწავლო წელთან შედარებით გაზრდილია. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ინგლისური ენის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის III ტურში გადავიდა XI კლასის 1	კონფერენციებში, პროექტებში და ოლიმპიადებში მონაწილეობის შედეგები	არსებული რესურსი

			მოსწავლე. ჩვენმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კინგსის ოლიმპიადაში და გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და სერტიფიკატებით: მარიამ სიჭინავა - მათემატიკასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გეგა მალაზონია-კინგსის ინტელექტის ოლიმპიადის წარმატებული მონაწილე, ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის დიპლომი,დემეტრე მეცხოვრიშვილი-ინგლისური, ალექსანდრა ბურჯანაძე-ქართული, ნიკოლოზ გივიაშვილი-ინგლისური.მონიკა ქავთარაძე-ჭაავა-ინგლისური, გიორგი ბიწაძე და ნიკოლოზ კაკაბაძე-ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სანდრო ბერიკაშვილი-ინგლისური, მარიამ გურგენიძე-ინგლისური, ნიკა ქავთარაძე-ჭაავა-მათემატიკასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილე ყველა მოსწავლეს სერტიფიკატი გადაეცა.		

2. ადამიანური რესურსის განვითარება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები			
				შესრულების ინდიკატორები	რესურსები
ადამიანური რესურსის განვითარება	პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება	პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა	პერსონალის ეფექტურად მართვის მიზნით სკოლის მიდგომა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე, შესაბამისად, სკოლას აქვს საჭიროებებზე	სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი; შინაგანაწესი;	არსებული რესურსი

			დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პრაქტიკა, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით სკოლამ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა არსებული დანაკლისის შესავსებად, კერძოდ, უმეტესად დროებით არმყოფ მასწავლებელი/მასწავლებლები ჩანაცვლდნენ სხვა მასწავლებლით/მასწავლებლებით. დროებით არმყოფი მასწავლებლის/მასწავლებლების სხვა მასწავლებლით ჩანაცვლების შემთხვევაში, შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილები აღირიცხა სპეციალურ ჟურნალსა და ტაბელში, რომლებსაც, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, აწარმოებს საქმისმწარმოებელი.. დროებითი შრომისუუნარობის გამო მასწავლებლის კუთვნილი საგაკვეთილო საათები აუნაზღაურდათ როგორც ძირითად, ასევე იმ მასწავლებლებსაც, რომლებიც დადასტურებული კომპეტენციის ფარგლებში ცვლიდნენ კონკრეტულ საგნობრივ დისციპლინას. (აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგაწესით რეგულირდება სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი).		
		პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა	სკოლის ადამიანური რესურსის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სკოლაში მოქმედ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება კი ეფუძნება თანამშრომლობის პრინციპებს, რომელიც არის სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება და ემსახურება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი საქმიანობის შესრულებას. დემოკრატიული სასკოლო კულტურის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართვა საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ამასთან, ფუნქციები ნაწილდება გუნდური	კათედრების, პედაგოგიური საბჭოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია; სამუშაო ჯგუფის ოქმები	არსებული რესურსი

			პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის. მაგალითად, სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში ჩართულობა ყველაზე უკეთ ვლინდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრები (კურიკულუმის შემუშავება, სახელმძღვანელოების შერჩევა, პროექტების დაგეგმვა, საათების განაწილება და სხვა.), აღნიშნულ პროცესს ფასილიტაციას უწევს სკოლის დირექცია, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული დოკუმენტის პროექტს განსახილველად წარუდგენს ხმათა უმრავლესობით ამმტკიცებს პედაგოგიურ საბჭოზე. გარდა ამისა, სკოლა პერიოდულად აკვირდება თავისი ორგანიზაციული მოწყობის რელევანტურობას და საჭიროების შემთხვევაში სკოლის განვითარების მიზნით ახორციელებს ცვლილებას. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა, შესაბამისად სკოლას აქვს მართვის კოლეგიალურ ორგანოებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის, მათგან უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების გამოცდილება., რაც აისახება სამუშაო ჯგუფის შეკრებებზე,სამუშაო ჯგუფის ოქმებში. მიმდინარე სასწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წევრების სკოლის მართვაში ჩართვისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან (სკოლის დირექტორის მოადგილე/მოადგილეები, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი). აღნიშნულმა ჯგუფმა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტები და		

			უზრუნველყო ამ პროცესებში ფართო საზოგადოების ჩართვა და ინფორმაციის გაზიარება.		
		თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტული აქტივობების სახით დეტალურად არის გაწერილი თანამშრომელთა სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურები, პასუხისმგებელი პირი/პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული აქტივობების შესრულებას. ადაპტაციის და საორიენტაციო პროცედურების მიზანია ახალი თანამშრომლისთვის სასიამოვნო, კომფორტული გარემოს შექმნა, რაც დაეხმარება მას სტრესის მართვაში და ახალ გარემოსთან სწრაფად ადაპტირებაში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით მიმდინარე სასწავლო წელს ახალ კადრებთან მიმართებით სკოლამ განახორციელა ყველა ის პროცედურა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლის ადაპტირებას ახალ გარემოში, კერძოდ, პირველ ეტაპზე, სკოლამ ახალი თანამშრომლები წარუდგინა სასკოლო საზოგადოებას და დაამატა ისინი სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში, სადაც დაიდო თანამშრომლისთვის მისასალმებელი პოსტი. შემდგომ ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ახალი წევრი/წევრები დირექციის მეგზურობით გაეცვნენ სასკოლო სივრცეს, სკოლის ორგანიზაციული კულტურის მთავარ ასპექტებს. ამასთან, მიეწოდათ საჭირო დოკუმენტაცია (შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა, თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია,) და ინფორმაცია კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (სკოლის სოციალური ქსელის /ვებგვერდის, დახურული ჯგუფები, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) შესახებ. არსებული სირთულეების პრევენციის/მართვის მიზნით, ახალ თანამშრომლებთან პერიოდულად მიმდინარეობდა	ეფექტური ტრანზიციის პროგრამის აქტივობები	არსებული რესურსი

			პროფესიული დიალოგი და საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირი უკუკავშირი შემდგომი რეაგირების მიზნით.		
	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა	ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება	სკოლის კადრების შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N68 დადგენილების მოთხოვნები. პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს რელევანტური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში არსებული სამოქალაქო განათლების/ისტორიის, ფიზიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების ვაკანსიის შესავსებად გამოცხადდა ღია კონკურსი. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სპეციალური მოთხოვნები. ინფორმაცია ღია კონკურსის შესახებ გამოცხადდა ინტერნეტსივრცეში არსებული დასაქმების ვებგვერდზე http://teacherjobs.ge. პირველ ეტაპზე კომისიამ შეისწავლა შემოსული კონკურსანტების დოკუმენტაცია, განხორციელდა განაცხადების გადარჩევა ბრძანებით დაშვებული საკონკურსო პირობების შესაბამისად. გასაუბრების ეტაპს კომისიის წევრებთან ერთად ესწრებოდა მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი. საბოლოოდ, კადრის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო დირექტორის ბრძანებით შექმნილმა საკონკურსო კომისიამ.	პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;	არსებული რესურსი

	ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება	თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა	პერსონალის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების განხორციელებას. კერძოდ, სკოლის დირექცია სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების, საგნობრივი კათედრებისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მოწოდებული მასალების (სემესტრული / წლიური ანგარიშები, ოქმები) ანალიზის საფუძველზე აფასებს პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, ადგენს მასწავლებელთა/თანამშრომელთა ინდივიდუალურ პროფესიულ საჭიროებებს და შემდგომი ინტერვენციის მიზნით მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრავს კონკრეტული ამოცანების შესაბამის აქტივობებს.	კითხვარების ანალიზი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის უკუკავშირი; კათედრების ურთიერთდასწრების შესახებ ოქმები	არსებული რესურსი
		თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა	წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრები კათედრის წევრ მასწავლებელთა მონაწილეობით, რომლის მიზანია მათი საერთო მოსაზრებების მოსმენა, საჭიროებების დადგენა, სწავლა-სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, გაანალიზება და გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება. სამუშაო შეხვედრები დაიგეგმა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რომელიც გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნების ხელშეწყობასა და სასკოლო კულტურის განვითარებას. აღნიშნული პროცესების მხარდასაჭერად სამუშაო შეხვედრების თემატიკა ძირითადად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებით: ➢ თემატურ მატრიცებზე/სასკოლო კურიკულუმზე მუშაობა; ➢ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების განხილვა; ➢ გაკვეთილის დაგეგმვა თემატური მატრიცების	სამუშაო შეხვედრების ჩანაწერები	არსებული რესურსი მასწავლებლის სახლი

			გამოყენებით და რეფლექსიის/თვითანალიზის დაწერა; სამუშაო შეხვედრებზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე დაიგეგმა კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე ორიენტირებული გაკვეთილები, წინასწარ შედგა გაკვეთილებზე დასწრების განრიგი, ხოლო გაკვეთილზე დასწრების შემდგომ ეტაპზე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაიცა კონსტრუქციული უკუკავშირი. ამასთანავე, ადმინისტრაციის უშუალო ჩართულობა ხელს უწყობს მასწავლებლებმა სწორად გაიაზრონ მოსალოდნელი ცვლილებები და გამოკვეთონ საკუთარი როლი ამ პროცესში.		
		ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა	ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით კათედრის წევრი მასწავლებლები ადგენდენ ურთიერთდასწრების განრიგს, რომელიც თითოეულ მასწავლებელს ასახული ჰქონდა საკუთარ სამოქმედო გეგმაში. შესაბამისად, მასწავლებლები ესწრებოდნენ ერთმანეთს და წინასწარ შემუშავებული რუბრიკის მიხედვით აძლევდენ უკუკავშირს „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატში. გარდა ამისა საგნის მასწავლებლების მიერ განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ: ➢ პროფესიულ კონფერენციაზე დასწრება; ➢ სამუშაო შეხვედრებში (ე.წ. უორქშოფებში) მონაწილეობა, ➢ სასწავლო თემატური ერთეულის/ების შედგენა ; ➢ საკუთარ გაკვეთილებზე კოლეგების მიწვევა და მათი გამოხმაურების ანალიზი;	ჩატარებული გაკვეთილები და საგნობრივი კურიკულუმები	არსებული რესურსი
		მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვა	თანამშრომლებში პროფესიული განვითარებისა და საკუთარ თავზე მუდმივად მუშაობის სურვილისა და მოტივაციის განმტკიცების მიზნით სკოლა იყენებს პროფესიული განვითარების წახალისების სხვადასხვა ფორმას. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, კერძოდ, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება	შინაგანაწესი; წახალისების შესახებ გადაწყვეტილებები	არსებული რესურსი

			წახალისების შემდეგი ფორმები: ➢ ა) მადლობის გამოცხადება; ➢ ბ) სიგელით დაჯილდოება; ➢ გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს დირექტორის მოადგილის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის სკოლის თანამშრომლების მიმართ გამოყენებულ იქნა წახალისების ფორმა (მადლობის გამოცხადება) .		
		ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება	სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება და სხვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელთან შეთანხმების საფუძველზე, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში (განრიგით განისაზღვრება რომელ მასწავლებელს ჯგუფის რომელი წევრი/წევრები დაესწრება), ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებასა და	ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები	არსებული რესურსი

			მასწავლებლის მიერ რეფლექსიის წარდგენის შემდეგ აძლევს განმავითარებელ შეფასებას (წერილობითი/სიტყვიერი) ფორმით მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე. მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი ფასდება ხარისხის ჯგუფთან ერთად კათედრების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.		
		საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერება - კათედრის სამუშაო გეგმების შემუშავება/განხორციელება	სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის დებულება, რომელიც განსაზღვრავს კათედრის მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქციებს, თავმჯდომარის არჩევის წესს, კათედრის წევრების და თავმჯდომარის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციებს და სხვა. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებდა ხუთი საგნობრივი კათედრა: ➢ სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; ➢ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; ➢ უცხოური ენების კათედრა; ➢ სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა; ➢ დაწყებითი საფეხურის კათედრა. თავისი ფუნქციების ორგანიზებულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივმა კათედრებმა წინასწარ შეიმუშავეს სამოქმედო გეგმები, რომლითაც განისაზღვრა სასწავლო წლის განმავლობაში განსახილველი საკითხები და მათი შესრულების პერიოდი. შესაბამისად, აღნიშნული სამოქმედო გეგმებისა და „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წლის განმავლობაში კათედრები შეიკრიბნენ სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). ამასთან, აღსანიშნავია, რომ	კათედრის სამუშაო გეგმები, საგნობრივი კათედრების ოქმები;	

			საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერების მიზნით სკოლას აქვს კათედრის წევრ მასწავლებლებთან ყოველკვირეული მიზნობრივი სამუშაო შეხვედრების პრაქტიკა. აღნიშნულ შეხვედრებზე დასასწრებად კათედრის ყველა წევრისთვის კვირის კონკრეტულ დღეებში უზრუნველყოფილია საერთო თავისუფალი დრო. სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად განხილავენ კომპეტენციაში შემავალ საკითხს/საკითხებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ადგენენ ურთიერთდასწრების განრიგს და გაკვეთილზე დასწრების შემდგომ გასცემენ უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მიმართულებების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციებისა და თვითშეფასების გათვალისწინებით მასწავლებლები ახდენენ საკუთარი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობებს ასახავენ მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმებში.		
		საგნობრივი კათედრების მიერ სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით	სასწავლო წლის დასაწყისში დაიგეგმა და სკოლაში კათედრებზე ყოველკვირეულად ხორციელდებოდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისას გამოკვეთილ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრები შემდეგი თემატიკით: ➢ კათედრის, როგორც მმართველობის შუალედური რგოლის გააქტიურება(კათედრის პორტფოლიოს წარმოება, სამოქმედო გეგმის შექმნა და ანგარიშის მომზადება; ➢ თემატურ მატრიცებზე/სასკოლო კურიკულუმზე მუშაობა; ➢ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების განხილვა; ➢ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების შეექმნა და ანალიზი;	საგნობრივი კათედრების ოქმები; ურთიერთდასწრების შედეგები	არსებული რესურსი

			➢ დიაგნოსტიკური შფასებისთვის საჭირო რესურსებისა და ანგარიშის მომზადება; ➢ ესგ-ს პრიორიტეტულ თემაზე შერჩეული სასკოლო პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა. აღნიშნული შეხვედრების განხორციელება ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში დასახული მიზნების მისაღწევას, კერძოდ: ➢ ინკლუზიური განათლებასა და სწავლების უნივერსალური დიზაინის დამკვიდრებას; ➢ გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებას. ➢ განმავითარებელი შეფასების წარმოების კულტურის (მიმდინარე შეფასება, შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარი) დამკვიდრებას სკოლაში; ➢ კათედრების ძალისხმევით სასკოლო კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის განვითარებას; ➢ სკოლაში პრიორიტეტულ თემებზე ორიენტირებულ სასკოლო პროექტებზე მუშაობის კულტურის დამკვიდრებას. პერიოდულად მიმდინარეობს აღნიშნული პორტფოლიოს განახლება, კერძოდ, მასწავლებლის მიერ კურიკულუმში ცვლილების შეტანა, კათედრის წევრების სემესტრული ანგარიშები, კათედრის სხდომების ოქმები, დიაგნოსტიკური შეფასებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრის ანგარიში და სხვ. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში დასახული მიზნების მისაღწევად სასკოლო სასწავლო გეგმისა და კათედრების სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობების განხორციელება მთელი სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.		

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები			
				შესრულების ინდიკატორები	რესურსები
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;	სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება.	სკოლის დირექტორის მეშვეობით შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებში“ უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსების მართვის ეფექტური სისტემა, რომლითაც რეალიზდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოებს ფინანსური რესურსების დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი. სკოლის ბიუჯეტში ასახულია სკოლის კოლექტივის წევრების ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და პრიორიტეტები. სკოლა უზრუნველყოფილია ფისკალური, ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის რესურსებით, სასკოლო სასწავლო გეგმის -კურიკულუმის განსახორციელებლად, სწავლებისა და შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად. ასევე სკოლა უზრუნველყოფილია ფისკალური, ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის რესურსებით მასწავლებელთა გასაძლიერებლად,	ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები	არსებული რესურსი

			საზოგადოებისა და მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის უზრუნველსაყოფად. სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში გამოიყენება ფინანსების მართვის, შესყიდვების პროცედურების გამჭვირვალე სისტემა.		
		ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ)	მიმდინარე წლის განმავლობაში სკოლამ საკუთარი სახსრებით შეიძინა საოფისე ინვენტარი, კერძოდ, საკანცელარიო მასალების შესანახი თაროები, შესაბამისად ,განხორციელდა სამასწავლებლოს კეთილმოწყობა, რომელიც გულისხმობს თანამშრომლებისათვის კომფორტული და თანაბრად ხელმისაწვდომი სამუშაო პირობების შექმნას. ამასთან, სკოლა შეიძენს 38 ცალ სასკოლო მერხს (საქონლის მიწოდების ვადა 2024 წლის 10 სექტემბერი).	შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები	არსებული რესურსი,
		საჭიროების შემთხვევაში კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება	შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებში“ განხორციელდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა საკლასო ოთახებში.	სამეურნეო დარგის მენეჯერის ანგარიში	არსებული რესურსი,

		სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოებების შეძენა და მათი პერიოდული განახლება	ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა ასეთი ბავშვის მისაღებად. აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლისათვის(პანდუსები, სსსმ პროგრამა)	შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები	არსებული რესურსი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსება, გრანტები
	საგანმანათლებლო/ სასწავლო რესურსების განახლება/შევსება	წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება	სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის მინიმუმ თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ა.შ . ამასთან, სკოლის დირექციამ უზრუნველყო ელექტრონული რესურსების მოძიება, რომელიც განხილულ იქნა კათედრებთან სამუშაო შეხვედრებზე . აღნიშნულის გათვალისწინებით მასწავლებლები წლის განმავლობაში სასწავლო პროცესში იყენებდნენ შემდეგ საგანმანათლებლო ელექტრონულ რესურსებს: საგნობრივი გზამკვლევები https://mes.gov.ge/content.php?id=12502&lang=geo რესურსებისა და პროდუქტების შესაქმნელად https://www.canva.com/ , https://learningapps.org/ საგანმანათლებლო პლატფორმა https://ck12.edu.ge/კითხვის ეფექტური მეთოდები	ბიბლიოთეკარის ანგარიში;	არსებული რესურსი,

			http://old.tpdc.ge/images/stories/gzamkvlevi.pdf სასწავლო ფილმები- კითხვის ეფექტური მეთოდები http://www.tpdc.ge/geo/educational-films/372 ინტერაქტიური სიმულაციებისთვის https://phet.colorado.edu/en/simulations/bending-light		
		მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა	სკოლის დირექცია ყოველწლიურად იღებს საგანმანათლებლო რესურსებს- პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს. მუდმივად უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების მოძიება/განახლებასა და მასწავლებლებისთვის მიწოდებას, შესაბამისად, მასწავლებლები წლის განმავლობაში სასწავლო პროცესში იყენებდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო ელექტრონულ რესურსს: ➢ საგნობრივი გზამკვლევები https://mes.gov.ge/content.php?id=12502&lang=geo ➢ რესურსებისა და პროდუქტების შესაქმნელად https://www.canva.com/ , https://learningapps.org/ ➢ საგანმანათლებლო პლატფორმა https://ck12.edu.ge/ ➢ კითხვის ეფექტური მეთოდები http://old.tpdc.ge/images/stories/gzamkvlevi.pdf ➢ სასწავლო ფილმები - კითხვის ეფექტური მეთოდები http://www.tpdc.ge/geo/educational-films/372 ➢ ინტერაქტიური სიმულაციებისთვის https://phet.colorado.edu/en/simulations/bending-light ➢ ციფრული მოქალაქეობის გზამკვლევი https://drive.google.com/file/d/1TYOkWQFe5THGXINtz6SnnDYS5lziA8u3/view ➢ კიბერცნობიერების ლექსიკონი https://drive.google.com/file/d/1gIUr8nvR2LTtbHUR5lzumpyKDxyPZ22I/view ➢ რა ვიცით პარლამენტის შესახებ მე-5-მე-6 კლასებისთვის https://drive.google.com/file/d/1nf-gj-ATziDG8l6WJx71Ri6ID6-XmM4C/view	შესყიდვის დოკუმენტაცია; მიღება-ჩაბარების აქტები	არსებული რესურსი

			➢ მე-7 კლასისთვის https://drive.google.com/file/d/1gIUr8nvR2LTtbHUR5lzumpyKDxyPZ22I/view ➢ მედიაწიგნიერება https://drive.google.com/file/d/1gIUr8nvR2LTtbHUR5lzumpyKDxyPZ22I/view, ➢ როგორ ვაზროვნებთ http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/220545.pdf ➢ სკოლა და საზოგადოება http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/562978.pdf ➢ განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება https://bit.ly/3c4xOuF ➢ სწავლისა და სწავლების სტრატეგიები სსსმ მოსწავლეებისათვის https://mes.gov.ge/uploads/files/stsavla-stavslebis%20gzamkvlevi.pdf ➢ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, ტომი3 https://rm.coe.int/rfcdc-v3-geo/168098361b ტომი2 https://rm.coe.int/rfcdc-v2-geo/168098361a ➢ კომუნიკაცია https://bit.ly/3RpRDMX ➢ ეფექტური კომუნიკაცია https://bit.ly/3bYOeVj ➢ **ციფრული მოქალქეობის გზამკვლევი.pdf** ➢ და სხვა. სკოლამ აღნიშნული მეთოდური ლიტერატურის მასწავლებლებისთვის მიწოდება უზრუნველყო ელექტრონული წიგნების სახით.		
		სპორტული ინვენტარის განახლება	მიმდინარე სასწავლო წელს განახლდა და შეივსო სპორტული ინვენტარი, კერძოდ, სპორტისა და ესთეტიკის კათედრის მიერ მოთხოვნილი საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარის შეძენა, მაგ: ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის ბურთები, მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნები (კომპლექტში), ბატუტი, სახტუნაო/ლახტი და სხვა.	შესყიდვის დოკუმენტაცია; მიღება-ჩაბარების აქტები	არსებული რესურსი

		სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსების, თვალსაჩინოებების შეძენა და მათი პერიოდული განახლება	ამჟამად სკოლას სსსმ მოსწავლეე არ ჰყავს, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში სკოლა შეიძენს შესაბამის რესურსს.		არსებული რესურსი,
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება	სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების (პროექტორი, პრინტერი, ლეპტოპი და სხვა) შევსება/განახლება	მიმდინარე სასწავლო წელს სამასწავლებლოს დაემატა ერთი ლეპტოპი და ერთი პროექტორი. სამასწავლებლოში განთავსებული ტექნიკის გამოყენება მასწავლებლებს შეუძლიათ არა მხოლოდ ელექტრონულ ჟურნალთან მუშაობისთვის, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის, ელექტრონულ რესურსებთან მუშაობისთვის და ა. შ.		არსებული რესურსი,
		ოფიციალური ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო არხების შექმნა/განვითარება და მუდმივი განახლება	შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებს“ შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად სკოლას აქვს საგანანმანათლებლო მომსახურეობისა და მასთან დაკავშირებული სერვისების მკაფიო და გამჭვირვალე სისტემა - სკოლის ვებგვერდი(www.skolaphesvebi.edu.ge), ელექტრონული ფოსტა phesvebi@yahoo.com, ფეისბუქის (Facebook) ოფიციალური გვერდი(შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ,,ფესვები“), რომელიც წარმოადგენს სკოლის გარე კომუნიკაციის ძირითად წყაროებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის დროული გავრცელებისა და უკუკავშირის პროცესების ეფექტიანობას; პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლის ვებგვერდზე მიმდინარე წელს განთავსდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის შესახებ: ➢ დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები; ➢ დაწესებულების სტრუქტურა;	ვებ - გვერდი; სოციალურ ქსელებში არსებული ოფიციალური გვერდები; მეილი	არსებული რესურსი; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

			➢ დაწესებულების ატორიზაციის ვადა; ➢ მთავარი სიახლეები; ➢ დაწესებულების წლიური ანგარიში; ➢ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სხვა. სკოლის სოციალურ გვერდზე პერიოდულად/უწყვეტ რეჟიმში განთავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით - მოსწავლეთა/მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების, პროექტების, ღონისძიებების, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილების ამსახველი ფოტომასალა და სხვ.		
	ფინანსური მდგრადობა	დამატებითი ეკონომიკური, შემოსავლების მოძიება	ჯერჯეობით სკოლა ყველა პროექტს უზრუნველყოფს საკუთარი რესურსებით. კლუბური მუშაობის ფარგლებში შესაძლებელია ჩართვა საგრანტო კონკურსებშიც.		არსებული რესურსი
		ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესება	მიმდინარე წლის სკოლის ბიუჯეტი დამტკიცდა სკოლის დირექტორის წარდგინებით. ბიუჯეტი დაიგეგმა რეალური გათვლებისა და გაანგარიშებების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე, ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტირების პროცესში მონაწილეობდნენ სკოლის დირექტორი, ბუღალტერი და სამეურნეო დარგის მენეჯერი. ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე სკოლის ბიუჯეტირებაში ჩართული პირების მიერ განისაზღვრა სკოლის განვითარების პრიორიტეტები, ხოლო შემდგომ ეტაპზე პრიორიტეტების მიხედვით განხორციელდა თანხების გადანაწილება (შემოსავალი, გასავალი). წლის განმავლობაში სავარაუდო მისაღები შემოსავალი და მოსალოდნელი ხარჯი აისახა ბიუჯეტში, ხოლო სკოლის დირექტორის მიერ თანხების განკარგვა შემდგომში განხორციელდა სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად დაიხარჯა შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. თანხა ასევე გათვალისწინებული იყო საოფისე ხარჯებზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა	დირექტორის ანგარიში; ბუღალტერის ანგარიში; ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგები	არსებული რესურსი

			მოხმარდა ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის.		
		ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგი	მიმდინარე წლის განმავლობაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდა სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, მაგალითად, სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან გამომდინარე სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა განხორციელდა 3 ეტაპად: 25 სექტემბრის მდგომარეობით - 01 ოქტომბრიდან 01 თებერვლამდე პერიოდზე, 25 იანვრის მდგომარეობით - 01 თებერვლიდან 01 ივნისამდე პერიოდზე, 10 მაისის მდგომარეობით - 01 ივნისიდან 01 ოქტომბრამდე პერიოდზე. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შევიდა სკოლის ბიუჯეტში, დირექტორის მიერ.	დირექტორის ანგარიში	არსებული რესურსი

4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები			
				შესრულების ინდიკატორები	რესურსები
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა	სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა	მიმდინარე სასწავლო წელს შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების“ დირექტორის მიერ დამტკიცდა უსაფრთხოების დაცვის წესი, რომელიც ადგენს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებს, განსაზღვრავს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოსა და სკოლის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს . ამასთან, სკოლის შინაგანაწესით შემუშავებულია სკოლაში უცხო	ვიდეო ჩანაწერები;	არსებული რესურსი

			პირების გადაადგილების შეზღუდვისა და გაკონტროლების მექანიზმები, კერძოდ, სკოლის შემოსასვლელი კარი იკეტება და მას აკონტროლებს სკოლის კარისკაცი. სკოლის შინაგანაწესით ასევე აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დირექციის თანხმობის შემთხვევაში, სკოლის ტერიტორიაზე მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და გარეშე პირთა გადაადგილება შესაძლებელია სპეციალური საშვების მეშვეობით, აღნიშვნით: ,,სტუმარი“. სკოლაში 24 საათის განმავლობაში არის დარაჯი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს.		
		სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა	ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის მექანიზმები. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, ამავე წესის შესაბამისად, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ➢ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯაროსამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112); ➢ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი – 2 200 220; ➢ საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებსა და კლასის საათზე დამრიგებლებმა მოსწავლეებსა და მშობლებს გააცნეს სკოლის შინაგანაწესი, სკოლის მისია და ხედვა. ამასთან, ამასთანავე მოსწავლეთა უფლებები და წესები, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და მშობლებთან ურთიერთობის დებულება.	სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრები; მშობელთა კრების ოქმები;	არსებული რესურსი

		პოზიტიური გარემოს შექმნა	სკოლაში არსებული პოზიტიური სასწავლო კლიმატი ქმნის პროდუქტიულ სასწავლო გარემოს, სადაც მასწავლებელიც და მოსწავლეებიც ურთიერთპატივისცემას ავლენენ და ყველა უსაფრთხოდ გრძნობს თავს. პოზიტიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია მასწავლებელი, რომელიც პატივისცემასა და მზრუნველობას ამჟღავნებს მოსწავლეების მიმართ. მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა კი დადებით გავლენას ახდენს კლასის მართვის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და მოსწრებაზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა სასკოლო კულტურის ნაწილია, რისთვისაც სკოლაში წახალისებულია სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრში სკოლის ღირებულებების შესაბამის ფასეულობებს ამკვიდრებს. მაგალითად, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისა და დაფასებისა მიზნით, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში,ტრადიციისამებრ, დაიგეგმა პროექტი **„მოსწავლე მასწავლებლის როლში“**. ერთი დღე მოსწავლეებმა შეითავსეს დირექციის, მასწავლებლისა და სკოლის სხვა პერსონალის როლი. სკოლა მომავალშიც გეგმავს პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად საჭირო აქტივობებს, რომელიც აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.	დირექტორის მოადგილის ანგარიში	არსებული რესურსი
	უსაფრთხოების ნორმების დაცვა	ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და სკოლაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ფუნქციონირების კონტროლი	სკოლას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომლის შესაბამისად სკოლაში განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა. ამასთან, სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით უზრუნველყოფს	ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში	არსებული რესურსი

			ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას და სკოლაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ფუნქციონირების კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.		
		სასკოლო საზოგადოებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობა	მიმდინარე წლის განმავლობაში სკოლის ადმინისტრაციის მიერ გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც მიზნად ისახავდა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას .	ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში	არსებული რესურსი
		სპეციალური სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ	შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხარდაჭერით სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო საგანგებო სიტუაციის სიმულაცია, რომლის ფარგლებშიც სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასწარ განსაზღვრული სცენარის მიხედვით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოახდინეს. ღონისძიებაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა მშობლებისათვის სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას, ამასთან, საგანგებო სიტუაციების დროს სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალის მზადყოფნას, კოორდინირებული რეაგირების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასა და უსაფრთხო სასკოლო გარემოზე ზრუნვას.	ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში	არსებული რესურსი, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება	ვიდეო კამერების მონიტორინგი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, სკოლა უზრუნველყოფილია სკოლის შიდა 7 (შვიდი) და გარე პერიმეტრის 4(ოთხი) ვიდეოთვალთვალის სისტემით. სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა	ვიდეო ჩანაწერები; მრჩეველთა საბჭოს ოქმები	არსებული რესურსი

			უზრუნველყოფს სკოლის ყველა დერეფნის, შესასვლელის (ფოიე) ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, ხოლო სკოლის გარე პერიმეტრზე (გასასვლელში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის, კერძოდ, სპორტული მოედანი, წინა ეზო ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე განხორციელებული ვიდეოკონტროლის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია სკოლის შენობის შესასვლელსა და ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებში. ვიდეომონიტორინგის ადმინისტრირების წესი ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების VI თავის შესაბამისად.		
		მასწავლებელთა მორიგეობის სისტემის შექმნა	სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, რომლის მონიტორინგი პერიოდულად, წლის განმავლობაში ხორციელდებოდა, კერძოდ, შესვენებებზე მოსწავლეთა უსაფრთხოების კონტროლისათვის სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები სკოლის დერეფანში უზრუნველყოფენ მოსწავლეთა და სხვა პირთა უსაფრთხოებას. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია სკოლის შენობის ყველა სართულზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.	დირექტორის ბრძანება; მორიგეობის განრიგი	არსებული რესურსი
		სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა აღრიცხვა	სკოლის შინაგანაწესით და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა აღრიცხვის წესი, კერძოდ, შინაგანაწესის თანახმად, აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა	ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი	არსებული რესურსი

			სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ამასთან, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეებია ყოველი პარასკევი 13:00 საათიდან 17:00 საათამდე (გარდა წინასწარ დაბარებული პირებისა). სხვა დღეებში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეზღუდება თავისუფალი გადაადგილება სკოლის შენობაში, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) 15:00 საათიდან 17:00 საათამდე. ვიზიტის შემთხვევაში სკოლა ზუსტად აღრიცხავს: ვიზიტორის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი), ვიზიტის დანიშნულებას და შემოსვლისა და გასვლის დროს. სკოლის ვიზიტორებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნავს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ ვიზიტორის დაკვალიანებას (კარისკაცი, საქმისმწარმოებელი, დამრიგებელი და სხვა); სკოლაში შემოსული ვიზიტორების ინფორმირებას, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემას უზრუნველყოფს მიმღები პირი თავისი კომპეტენცისს ფარგლებში.		
		ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებისა და საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანის ორგანიზება	ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს პრევენციის მიზნით სკოლამ წლის განმავლობაში დააორგანიზა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, კერძოდ, კლასის დამრიგებლებმა და საგნის მასწავლებლებმა დაგეგმეს და განახორციელეს აქტივობები, სადაც ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე. განხორციელებული კამპანიის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობის ამაღლებას	ანგარიშები, შეხვედრის ფოტო მასალა	არსებული რესურსი

			სასკოლო ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებები წარიმართა: ➢ დისკუსიების/დებატების მოწყობით; ➢ სპორტული შეჯიბრების ორგანიზებით; ➢ ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით; ➢ სასწავლო-შემოქმედებითი ექსკურსიებით; ➢ სასკოლო კლუბებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვით; ➢ სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელებისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.		

5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები			
				შესრულების ინდიკატორები	რესურსები
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა	მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება	სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების დანართი N1-თ დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების” მე-10 მუხლის შესაბამისად. იგი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და	თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესი; თვითმმართველობის დებულება; თვითმართველობის ოქმები	არსებული რესურსი

			უფლებამოსილებას ახორციელებს მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე; მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ. თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა მიმდინარე სასწავლო წლის 31 ოქტომბერს. თითოეული კლასიდან ფარული კენჭისყრით მოსწავლეებმა აირჩიეს კლასის წარმომადგენელი სკოლის თვითმმართველობაში, ხოლო თვითმმართველობის წევრებმა არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში საკუთარი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიეს შესაბამისი საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას.		
		სკოლის თვითმმართველობის ინიციატივების მხარდაჭერა	მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობისა და მათი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, მათ შორის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი ,,ადრენალინი“, ინგლისური ენის კლუბი. შესაბამისად, სკოლა ქმნის სივრცეს მოსწავლეების ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციისთვის, კერძოდ, მოსწავლეთა თვითმმართველობა მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხოლო სკოლის დირექცია ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას. სურვილის შემთხვევაში მოსწავლეები დირექტორს გააცნობენ იდეებს სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ყველა მოსწავლის წარმატება გაზიარებულია სოციალური ქსელით სკოლის გვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მუშაობის ხელშეწყობასა და იდეების განხორციელებაში დახმარების გაწევაზე. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა თვითმმართველობისა და	თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარებული აქტივობები	არსებული რესურსი

			კლუბების ორგანიზებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა, მაგალითად: ➢ მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით მოსწავლეთა თვითმმართველობამ, ტრადიციისამებრ, დაგეგმა პროექტი **„მოსწავლე მასწავლებლის როლში“**. ერთი დღე მოსწავლეებმა შეითავსეს დირექციის, მასწავლებლისა და სკოლის სხვა პერსონალის როლი. დღის ბოლოს შეაჯამეს. ➢ ითანამშრომლეს სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან და ორგანიზება გაუკეთეს კალაკტიონ ტაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილს მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციას ,,არტისტული ყვავილები“. ➢ საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის საახალწლო კარნავალი. ➢ სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საღამო. ➢ ინიციატორები გახდნენ სკოლის ყოფილი დირექტორის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარების.		
		სსსმ მოსწავლეების მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია მოსწავლისათვის სასწავლო/აღმზრდელობითი პროცესის დაგეგმვისას	ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.		
		მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზება	მშობელთა ინიციატივების მხარდაჭერა და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა სკოლის პრიორიტეტია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი, რომელიც მხარს უჭერს, ეხმარება და ავითარებს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში გავრცელებულია კლასის მშობლის პრაქტიკა, რაც	დამრიგებლის პორტფოლიო	არსებული რესურსი

			გულისხმობს, რომ თითქმის ყველა კლასს ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი მშობელთა კომიტეტში. (მშობელთა კომიტეტის წარმომადგენლობის უფლება აქვს ნებისმიერ მშობელს). მშობელთა კომიტეტში ძირითადად ერთიანდებიან აქტიური და სკოლის ცხოვრებაში ჩართული მშობლები, ისინი კარგად იცნობენ როგორც სკოლის, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაბამისად, გეგმავენ და მონაწილეობენ სკოლის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია სპორტულ აქტივობებსა და ღონისძიებებში, ექსკურსიებზე დახმარება, საგაკვეთილო პროცესისათვის სხვადასხვა საჭირო ნივთების მომზადება, სხვადასხვა კლუბის მუშაობის პროცესში მონაწილეობა და სხვ. ➢ მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაზრდის მიზნით შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების“ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით სპორტული შეჯიბრი „მხიარული სტარტები" ჩატარდა. ღონისძიებაში მოსწავლეებთან ერთად ჩართულნი იყვნენ როგორც მშობლები, ასევე მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენლები. პროექტის დასკვნით ეტაპზე სკოლის დირექციის მიერ თითოეული კლასი სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდა. ➢ აღსანიშნავია, რომ სკოლა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მშობლების წინასწარ ინფორმირებას შესაძლო აქტივობების შესახებ, ითვალისწინებს და სწავლობს მათ ინტერესებს და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სთავაზობს მათ ამა თუ იმ აქტივობაში ჩართვას. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლა პატივს სცემს და ითვალისწინებს მშობლების დროის დეფიციტს და სთავაზობს მათ მათზე მორგებულ განრიგს, ისე რომ მშობლების დათანხმება და		

			ჩართულობის მიღწევა შესაძლებელი ხდება.		
	მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა	მშობელთა კრებების ორგანიზება; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება;	კლასის დამრიგებლები რეგულარულად (მინიმუმ, თვეში ერთხელ) აწვდიან მშობლებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, ხვდებიან დაინტერესებულ მშობელს და აწვდიან მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მშობელთა ინფორმირება პერიოდულად ინდივიდუალურ შეხვედრებზე, კრებებზე, ზოგ შემთხვევაში კი სატელეფონო შეტყობინებით ხდება.	მშობელთა კრების ოქმები; დამრიგებლის ანგარიშები; დირექტორის მოადგილის ანგარიში	არსებული რესურსი
		ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ყოველდღიური კომუნიკაცია	. ყოველდღიურად ხდება მოსწავლისა და მისი მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, მოსწავლის დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ.		არსებული რესურსი
		დამრიგებელთა მიერ მშობლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით (მეილი, ტელეფონი, სოციალური ქსელი და ა.შ)	. მოსწავლისა და მისი მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული ,,მშობელთან ურთიერთობის დებულებით(კომუნიკაციის სტრატეგია)“ . . მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: ➢ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); ➢ Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში; ➢ ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; ➢ კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში; ➢ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ➢ ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით; ➢ სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო	დამრიგებლის პორტფოლიო	არსებული რესურსი

			დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა). ε. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია.		
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი	სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით სკოლაში შექმნილია ღია, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გარემო. სკოლაში არსებული კოლეგიალური ორგანოების საქმიანობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კერძოდ, სკოლის საჭიროების გათვალისწინებით კათედრის წევრ მასწავლებლებთან, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრებთან, პროექტის მართვის გუნდთან, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს წევრ მასწავლებლებთან მიმდინარეობს მიზნობრივი სამუშაო შეხვედრები, რომლის მიზანია მათი საერთო მოსაზრებების მოსმენა, საჭიროებების დადგენა, საგანმანათლებლო პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, გაანალიზება და გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება. ზემოთ ხსენებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით, რომელიც შემუშავებულია დაინტერესებული პირების ჩართულობით და უზრუნველყოფს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.	კითხვარების ანალიზი	არსებული რესურსი
		სკოლის კოლეგიური ორგანოების შეხვედრებში მშობელთა მონაწილეობის მაქსიმალური ხელშეწყობა	მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირების ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანო, რომლებიც საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს, მათ შორის მშობლებს, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თავიანთი წვლილი შეიტანონ სკოლის განვითარებაში, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არჩეულია დისციპლინური კომიტეტი მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების თანაბარი რაოდენობით.	კოლეგიური ორგანოს ოქმები	არსებული რესურსი

			აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების სკოლის მართვაში ჩართვისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე და ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან (სკოლის დირექტორი, მოადგილე, ხარისხის მენეჯერი, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, საჭიროების შემთხვევაში, თემის სხვა წარმომადგენლები), რაც გულისხმობს სკოლის კოლეგიური ორგანოების შეხვედრებში მშობელთა მონაწილეობის მაქსიმალურ ხელშეწყობას.		
		სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ინიცირება	სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისა და ინიცირების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პედაგოგთა პროფესიული მხარდაჭერისა და სასკოლო პროექტის მართვის ჯგუფები. სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანად დანერგვის მიზნით სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომლებსაც შემუშავებული აქვთ კათედრის სამოქმედო გეგმა. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ➢ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; ➢ კურიკულუმის შემუშავება; ➢ კურიკულუმის განხორციელება; ➢ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია; ➢ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრები, დაკავებული პოზიციის/სტატუსის შესაბამისად, განსხვავებულ ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებენ. სასკოლო	კოლეგიური ორგანოს ოქმები	არსებული რესურსი

			კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის (სკოლის დირექციის, კათედრის თავმჯდომარის, მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლეების და სხვა) როლი კურიკულუმის განვითარების პროცესში, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და მამოტივირებელი ფაქტორების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების (ანკეტირება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ინტერვიუ, ანგარიშები, შედეგების ანალიზი) გამოყენებით. სკოლის დირექცია სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების, საგნობრივი კათედრებისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მოწოდებული მასალების (სემესტრული / წლიური ანგარიშები, ოქმები) ანალიზის საფუძველზე აფასებს პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, ადგენს მასწავლებელთა/თანამშრომელთა ინდივიდუალურ პროფესიულ საჭიროებებს და შემდგომი ინტერვენციის მიზნით მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრავს კონკრეტული ამოცანების შესაბამის აქტივობებს.		
		სკოლაში უსაფრთხოებისა და პოზიტიური გარემოს შექმნისათვის რეკომენდაციების შემუშავება და პროექტების ორგანიზება	სკოლაში უსაფრთხოებასა და პოზიტიური გარემოს შექმნაზე ზრუნავენ კლასის დამრიგებლები, კარისკაცი, მორიგე მასწავლებლები, სკოლის ექიმი, სკოლის ადმინისტრაცია. სკოლაში დამრიგებლებისა და მასწავლებლების ინიციატივით განხორციელდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიება. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის		არსებული რესურსი

			ფსიქოლოგიაზე. განხორციელებული კამპანიის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობის ამაღლებას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის ექიმი თამარ ღურწკაია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით შეხვდა მასწავლებლებს, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. ჩატარდა ტრენინგი პაპილომა ვირუსთან დაკავშირებით, რომელიც ჯან-მოსა და განათლების სამინისტროს მიერ იქნა შემუშავებული	ექიმის ანგარიში	
		გამჭვირვალე და სამართლიანი გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის მუშაობა	შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებს“ შემუშავებული აქვს სკოლის მიმართ წარდგენილი საჩივრის/განცხადების განხილვის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/ საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებისა და სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვას. სკოლაში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომია. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ მიეწოდა მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს სკოლაში სწავლის ან მუშაობის დაწყებისას, ასევე გამოქვეყნდა სკოლის ვებ-გვერდზე და განთავსდა სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ	დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები	არსებული რესურსი

			დისციპლინური წარმოების წესი და თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების განხილვის წესი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებულთა/მოსწავლეთა მიერ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.		

6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები			
				შესრულების ინდიკატორები	რესურსები
მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა	მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა - მოსწავლეთა ტრანზიციის პროგრამის განხორციელება	სკოლის სასკოლო - სასწავლო გეგმით რეგულირდება ბაღიდან სკოლაში/ სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესები, მასთან დაკავშირებული რეგულაციები და ტრანზიციის პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს ბავშვსა და ოჯახს თავი კომფორტულად იგრძნოს ახალ გარემოში. სკოლის ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა ინკლუზიურობის პრინციპს ეფუძნება და ყველა ბავშვისა და ოჯახის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ უნიკალურ საჭიროებებს ეხმიანება. ზემოაღნიშნული ტრანზიციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სასწავლო წელს კლასის დამრიგებლებისა და სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ მრავალფეროვანი მიზნობრივი აქტივობები განხორციელდა : ➢ სკოლაში საორიენტაციო ვიზიტები; ➢ კლასის დამრიგებლის გაცნობა; ➢ სკოლის გარემოს გაცნობა ბავშვებისა და მშობლებისათვის; ➢ ბავშვის მიერ მომავალი თანაკლასელების გაცნობა; ➢ ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან და ბავშვებთან; ➢ სსსმ მოსწავლის სკოლაში შემოსვლის ხელშეწყობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და ა. შ. აღნიშნული აქტივობების მიზანია მოსწავლისათვის სკოლაში ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა და მშობლებისთვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მათი	მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;	არსებული რესურსი

			მხარდაჭერა ბავშვის სათანადო მომზადებაში, რათა ტრანზიციის პროცესი სასიამოვნო და ნაკლებ სტრესული აღმოჩნდეს როგორც ბავშვისთვის, ისე მისი მშობლისთვის.		
		სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება	მოსწავლეთა აკადემიური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ➢ მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა; ➢ მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობა; ➢ მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერი მექანიზმები, მათ შორის, რემედიაციის მექანიზმი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, გულისხმობს იმ მოსწავლეთა დახმარებას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს, შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებულია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან იმ ტიპის სირთულეებს, როგორებიცაა – არასაკმარისი სასკოლო მზაობა, დეკოდირების პრობლემა, წაკითხულის გააზრება და სხვ. მიდგომა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გულისხმობს სწავლების მრავალფეროვანი ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს აღნიშნული ტიპის მოსწავლეები, თუმცა ზემოაღნისნულის გათვალისწინებით სკოლას აქვს სრული მზაობა ამ მიმართულებით საქმიანობის განხორციელების. სკოლა ასევე ნებისმიერ დროს მზადაა მოსწავლეებს გონივრულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია და გაუწიოს ადმინისტრაციული	მოსწავლის აკადემიური საკონსულტაციო/ მხარდამჭერი მომსახურების ამსახველი მასალები / აქტივობები;	არსებული რესურსი

			მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვ.) გაწერილია გამოცდებისთვის მოსწავლეთა ინფორმირების წესი, მომზადების პროცედურები და გამოცდების (ექსტერნის, სემესტრული, საშემოდგომო და სხვ.), ოლიმპიადებისა და სხვადასხვა კონკურსის დროს მასწავლებელთა მხრიდან გასაწევი კონსულტაციების ვალდებულება. შესაბამისად, მოსწავლეები დროულად არიან ინფორმირებული სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. მაგალითად, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, მობილობისა და სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ კლასის დამრიგებლები და, საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს.		
		კარიერული დაგეგმვისa და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა	სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, რომლის მიზანია: მოსწავლეთა დახმარება საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და გააზრებაში; მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა; შრომის ბაზრის მნიშვნელობის გაცნობიერება პროფესიის არჩევისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში; პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესის გააზრება უწყვეტი განათლების ჭრილში; ზემოაღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას პროფესიული ორიენტაციის კუთხით, კერძოდ, პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის	დამრიგებლის პორტფოლიო	არსებული რესურსი

			მიზნით საბაზო-საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მიმართულება, რაც ასახულია საბაზო და საშუალო საფეხურზე დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში. დამრიგებლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ჩატარდა საკონსულტაციო კლასის საათები, რომელთა მიზანია •მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. დამრიგებლის მიერ გაწეული პროფესიული კონსულტაცია ეხმარება მოსწავლეებს შრომის ბაზრის მნიშვნელობის გაცნობიერებაში პროფესიის არჩევისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში. სხვადასხვა პროფესიის გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით სადამრიგებლო პროგრამის/სასკოლო პროექტების ფარგლებში კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ განხორციელდა მრავალფეროვანი თემატური აქტივობები - საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს კლასის დამრიგებლებმა ჩაუტარეს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, სადაც მოსწავლეები გაეცნენ პროფესიის არჩევის მნიშვნელობას, განხორციელდა ექსკურსიები/ვიზიტები სასწავლო დაწესებულებებში **(თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში),** რათა უკეთ გასცნობოდნენ, თუ რა რა სასწავლო შესაძლებლობებია ხელმისაწვდომი საქართველოში. შემდგომში იგეგმება ვიზიტი სხვადასხვა საწარმოში,რატა უკეთ გაიაზროდ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა საქმიანობა. კარიერული განვითარების შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში და გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის.		

		სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა	ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეუძლია არსებული მექანიზმის ამოქმედება და დახვეწა.		
	დამატებითი სერვისების განვითარება	კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება და არაფორმალური განათლების მიმართულებით სასკოლო/სოციალური პროექტების დაგეგმვა	აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობისა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით, სკოლა ქმნის სივრცეს მოსწავლეების ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციისთვის, კერძოდ, მოსწავლეთა თვითმმართველობა მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში, წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს, ხოლო სკოლის დირექცია ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას. სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა (კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა) და სასკოლო კლუბების წარმომადგენლები ინიციატივების არსებობის შემთხვევაში დირექტორს მიაწვსიან იდეებს სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით, რაც ხშირად გულისხმობს როგორც კვალიფიკაციის მქონე პერსონალით მხარდაჭერას, ასევე აქტივობებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფას, შესაბამისად, სკოლაში წახალისებულია სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, რომლებიც მოსწავლეებში სკოლის ღირებულებების შესაბამის ფასეულობებს ამკვიდრებს. თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში შექმნილია ეკო კლუბი,,ადრენალინი“ და ინგლისური ენის კლუბი.	კლუბების საქმიანობის ამსახველი მასალები, პროექტის გეგმები	არსებული რესურსი
		შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები, საქველმოქმედო ღონისძიებები და ა.შ.) ორგანიზება	კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. მასწავლებლის ფუნქციაა ნებისმიერი საგნის კონტექსტში მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება, მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა და მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება. სასწავლო პროცესის ფარგლებში მასწავლებლები მოსწავლეებს	მასწავლებლების, დამრიგებლების პორტფოლიოები; ფეისბუქზე ატვირთული მასალა.	არსებული რესურსი

			საშუალებას აძლევენ, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (სასკოლო და სასწავლო პროექტები, შემეცნებითი და ინტელექტუალური ღონისძიებები, ლაშქრობები, მიზნობრივი ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში, შესაბამისად სკოლაში დაგეგმილი პროექტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული ზრდა-განვითარების პროცესს, რომელიც ორიენტირებულია სხვადასხვა კომპეტენციებზე - თვითცნობიერება - მოსწავლის შესაძლებლობა ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები. შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ დაიგეგმა არაერთი შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობა. მაგალითად: სკოლაში მოეწყო საგნობრივი კვირეულები, რომლის ფარგლებში კათედრებმა დაგეგმეს სხვადასხვა სახის ღონისძიება. ➢ შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებში“ დაწყებითების კათედრამ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული მოაწყო- **,,ვამაყობთ, რომ ჩვენი ენა ქართულია, ვამაყობთ, რომჩვენი ქვეყანა საქართველოა“**.კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა გაიხსენეს იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია და ქართული დამწერლობის ისტორია, ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი და მოეწყო კალიგრაფიული ნიმუშების გამოფენა. ქართული კალიგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით მოსწავლეები ასევე გაეცნენ კალიგრამის ისტორიას, თავად შექმნეს კალიგრამები. აღსანიშნავია ისიც, რომ დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში შეიქმნა არაერთი ხელნაკეთი წიგნი, რომელიც მოსწავლეებმა თავიანთი გემოვნებით შექმნილი ილუსტრაციებით გააფორმეს. შემდეგ კი პირველკლასელებმა დაასრულეს ექსკურსიით ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში. ➢ ევროპელი ავტორების დღესთან დაკავშირებით შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებში“ სხვადასხვა ფორმატის აქტივობები განხორციელდა - ევროპელი ავტორების წიგნების განხილვა,		

			ევროპული ლიტერატურის კითხვის საათი, ევროპული ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით ილუსტრაციების შექმნა და სხვა.ევროპელი ავტორების დღის აღნიშვნა ემსახურება კითხვის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა მკითხველს საშუალებას აძლევს შეისწავლოს და აღმოაჩინოს ევროპული ლიტერატურის სიმდიდრე. ➢ შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვების " მე-7 კლასის მოსწავლეთა მშობლებმა მოაწყვეს წიგნის კითხვის კვირეული. მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციისა და წიგნიერების კომპეტენციის განვითარების მიზნით მშობლებმა წაიკითხეს ეპიზოდები თავიანთი საყვარელი ნაწარმოებებიდან. ➢ სკოლის X-XI კლასის მოსწავლეების მონაწილეობით 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციასთან დაკავშირებით ჩატარდა პროექტი **,,წითელი დროშით, მოღერილ ყელით, ,ნაბიჯით ნელით, შემოდიოდა სიკვდილი ცელით".** (სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა).მომხსენებლებმა გაიხსენეს საბჭოთა ტერორს შეწირული და მის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები,ხოლო მე-9 კლასის მოსწავლეებმა მოინახულეს ოკუპაციის მუზეუმი და კიდევ ერთხელ გაიაზრეს ოკუპაციის შედეგები.აღნიშნული აქტივობების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ➢ სკოლის მე-9კლასის მოსწავლეებმა უცხო ენების კვირეულის ფარგლებში ჩაატარეს იმიტირებული სასამართლო პროცესი ,,Scott vs Amundsen" (იყო თუ არა ამუნდსენი დამნაშავე?) თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარების ხელშეწყობისა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის გააზრების მიზნით. ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ დედამიწის დღესთან დაკავშირებით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი აქტივობა. ჩატარდა პროექტი თემაზე: ,,გარემოს დაბინძურება და		

			ამით გამოწვეული გლობალური პრობლემები: სათბურის ეფექტი, მჟავა წვიმები და ოზონის შრის გათხელება“, შეიქმნა პრეზენტაციები, რომლებიც გამოიფინა სკოლის საგამოფენო სივრცეში, , გაიმართა კონფერენცია ეგიდით: ,,გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს დედამიწაზე“, კონფერენციის ფარგლებში თავიანთი მოხსენებებით წარსდგნენ ეკო კლუბ ,,ადრენალინის“ წევრები და იმწკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებზე.შექმნეს სპწციალური ურნები, რომლებშიც ცალ-ცალკე მოათავსეს პოლიეთილენისა და შუშის ნარჩენები, ასევე მაკულატურა. მიზანია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების შემეცნება და კრიტიკული გააზრება. ➢ დაუნის სინდრომის საერთასორისო დღესთან დაკავშირებით მე-9კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტი: ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“ ➢ მე-4 კლასელებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია,,წინაპარო, შენი ღირსი გამხადე, გმადლობ, რაკი მომიყვანე აქამდე“. კლასის დამრიგებლების მიერ სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვა-განხორციელება მიმდინარეობს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის N719 ბრძანების შესაბამისად, ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, რისთვისაც იგი გამოითხოვს და სკოლის დირექტორს ექსკურსიამდე არანაკლებ 10 დღით ადრე წარუდგენს სკოლის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ფორმას, სადაც გაწერილია ინფორმაცია ექსკურსიის მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მონაწილე პირების (მათ შორის, მცირეწლოვნების), პასუხისმგებელი პირების, ექსკურსიის თარიღისა და ლოკაციის შესახებ. წარსადგენ ფორმას თან ერთვის ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მძღოლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა		

			და შესაბამისი კატეგორიის ავტომანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლები. სკოლის დირექტორი განიხილავს წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტებს, იღებს გადაწყვეტილებას ექსკურსიის განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ და გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.		

7. ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები			
				შესრულების ინდიკატორები	რესურსები
ორგანიზაციული განვითარება	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა	საქართველოს სკოლებსა და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/ განხორციელება	მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დასწესებულებასთან, მათ შორის სკოლებსა და უნივერსიტეტებთან - დაიგეგმა ვიზიტები უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეებისათვის . მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ თავისუფალ და აგრარულ უნივერიტეტებს. ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს ქიმიის, ბიოლოგიის, ელექტროინჟინერიის, ფიზიკის ლაბორატორიები, კულინარიის განყოფილება, ბიბლიოეკა, საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტი, ენტომოლოგიური კოლექცია. მეაბრეშუმეობის სტენდზე ნახეს ნარინჯისფერი პარკები და მუზეუმში დაცული ექსპონანტები. მოისმინეს მინი -ლექცია თემაზე : ,,ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორები, ნიადაგის თვისებები და მნიშვნელობა“, მოისმინეს ფიტულის დამზადების ტექნიკის თაობაზე,მიკროსფეროს დანიშნულებაზე. მოსწავლეებმა ნახეს კამპუსის ფოიეში განთავსებული სკა, ბაზიდიალური სოკოების სტენდი,100-ზე მეტი ჯიშის ჰერბარიუმი და საღვინე და სასუფრე ყურძნის ნიმუშები. VI კლასისმოსწავლეები სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს ახალგაზრდულ აკადემიასთან SEU-ში. შემეცნებითი თემა- არგონავტები. V კლასის მოსწავლეები სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს ახალგაზრდულ აკადემიასთან SEU-ში. შემეცნებითი თემა - ახალი წელი და საახალწლო ტრადიციები. IV კლასის მოსწავლეები სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს ახალგაზრდულ აკადემიასთან SEU-ში.შემეცნებითი თემა-ვოლტ დისნეი და დისნეილენდი.	ერთობლივი პროექტები	არსებული რესურსი

			➢		
		სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება და თანამშრომლობა;	შპს,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმმა ფესვებმა“ სპორტული კვირეულის ფარგლებში ითანამშრომლა 132-ე საჯარო სკოლასთან. სკოლებს შორის გაიმართა მეგობრული მატჩები ფრენბურთში, ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. სკოლას აქვს ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება, მაგალითად, მიმდინარე წელს:	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები	არსებული რესურსი
	სკოლის ცნობადობის გაზრდა	სკოლაში არსებული მმართველობითი პოლიტიკისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით თემში სკოლის მიმართ ინტერესის გაზრდა სკოლის სოციალური ქსელის, ვებ-გვერდის გამოყენებით სკოლის პოპულარიზაცია	სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა სკოლის მიერ გაცხადებული მისიის, ღირებულებებისა და ხედვის შესაბამისად . ზემოაღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, საზოგადოებაში/თემში ცნობადობის გაზრდის მიზნით, სკოლის სოციალურ გვერდზე პერიოდულად/უწყვეტ რეჟიმში განთავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით - მოსწავლეთა/მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების, პროექტების, ღონისძიებების, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილების ამსახველი ფოტომასალა და სხვ. ინფორმაციის განთავსებისას დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ამასთან, სასკოლო ცხოვრების პოპულარიზაციისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა იყენებს ფეისბუქის (Facebook) სივრცეს, სოციალური ქსელის არხი ღიაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.	ვებ-გვერდი; სოციალური ქსელი;	არსებული რესურსი

			მარტივი ნავიგაციის მიზნით (იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა საძიებო ველში მარტივად მოახდინოს სკოლის გვერდის პოვნა) სოციალური ქსელის გვერდს ჰქვია სკოლის სახელი შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ,,ფესვები“ https://www.facebook.com/profile.php?id=100057210379592). აღსანიშნავია, რომ სკოლა საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს ვებგვერდის საშუალებითაც.		
	სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება	სკოლის თვითშეფასების პროცესისათვის შესაბამისი სამუშაოების ორგანიზება - საგანმანათლებლო პროგრამების/დოკუმენტაციის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ----------შპს ,,კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებს“ 6 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, თუმცა იმისათვის, რომ სკოლა შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან სასწავლო წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი სამუშაოების განხორციელება - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შესაბამისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება და რევიზია; კურიკულუმის შემუშავება და განვითარება; კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის განახლება; პერსონალის განვითარება და პროცესების მართვა; ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, ინფრასტრუქტურის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მართვა, მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების მართვა და სხვა.	სამუშაო ჯგუფის ოქმები	არსებული რესურსი
		სკოლის შიდა ხარისხის ჯგუფის დაკომპლექტება და სკოლის განვითარების მიზნით ფუნქციების შესაბამისი საქმიანობის განხორციელება	სკოლაში შექმნილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე, კერძოდ, შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს სასწავლო პროგრამების, ადამიანური	მონიტორინგის შედეგები	არსებული რესურსი

			რესურსებისა და სერვისების მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური/საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები საგაკვეთილო პროცესების გაუმჯობესებისთვის.		